საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/152

ქ. ბათუმი 16 აგვისტო, 2023 წ.

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის N01-02/139 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 23 0001001764, 16/08/2023წ) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის N01-02/139 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაციის დადასტურება მოხდეს „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილების შესაბამისად (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება - ელექტრონული პორტალის - www.portal.bsu.edu.ge/sa საშუალებით. შესაბამისი ფორმის გენერირებისათვის აკადემიური პერსონალის მიერ უნდა იყოს შევსებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დადასტურებული მონაცემები. <u>დადასტურებაზე პასუხისმგებელი პირების</u> (ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი) <u>შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში, ელექტრონულ პორტალზე მონაცემებზე დაშვება/დადასტურება განხორციელდეს შესაბამისი დასაქმებულის მოვალეობის შემსრულებლის მიერ).“.</u>

2. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ა. შარაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით შესაბამის პირთათვის დაშვების გადაცემის ტექნიკური უზრუნველყოფა.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე კონკურსის გამოცხადების შესაბამის ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა.ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**